საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №388
2019 წლის 13 დეკემბერი

ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 77^2 მუხლის:

1. **მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლად არ განიხილება პირი, რომელიც ამ მუხლით დადგენილი წესით შეძენილ საქონელთან მიმართებით ახორციელებს მხოლოდ პირველად დამუშავებას, დაჭრას, პირველად საფუთავებში დაფასოებას.“.

2. **მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 8^1 პუნქტი:**

„8^1. თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ პირთა ელექტრონული რეესტრიდან პირის ამოღების საფუძველია:

ა) თამბაქოს ნაწარმის მწარმოებლის განცხადება;

ბ) ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა.“.

3. **მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„9. თამბაქოს ნაწარმის წარმოებად არ განიხილება:

ა) იმპორტირებულ საქონელთან მიმართებით იმპორტიორის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მხოლოდ პირველადი დამუშავება, დაჭრა, პირველად საფუთავებში დაფასოება;

ბ) საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2401 კოდში მითითებული ადგილობრივად მოყვანილ საქონელთან მიმართებით, ამ მუხლით გათვალისწინებული მწარმოებლისთვის მიწოდების მიზნით აღნიშნული საქონლის საქართველოში მოყვანა, პირველადი დამუშავება, დაჭრა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2019 წლის 21 ნოემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი**